


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმეში, ბატონი ბეჭე-
უჭი სიფყავა, ტყუილებით და ჭებებით ბუბ-
თის გატანა ყველა უკადრისბაჭე უსამაგლესია.

სუთმაბათი, 15 სექტემბერი. 2016 წ. №172 (8064), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვანილ რუსაძე:



უგუნურების თარეში საქართველოში



ამ ბოროტი ტყუილის გამიზნულად გაგაპრსებელი ბოკერია პრის მოლატა ნასიონალია! შეაჩერეთ!



„ეს ივანიშვილს ვერ უშვებ, რადგან საზოგადოებას მისთვის პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს“, – აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია მთავრობის მხრიდან მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ გაკეთებული განცხადებების კომენტარებისას:

„ბიძინა ივანიშვილი და ივანიშვილის გუნდი, რომელმაც ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა და რომლისგანაც ოთხი წელი, მავნებლობისა და უნიათობის გარდა არაფერი გვინახავს, ახლა ხედავს, რომ არჩევნებს წააგებს და მორიგად, აი ამ ბოდეას გვთავაზობს. ეს არის პირველი შემთხვევა – დაწყებული საბურავებით და გაგრძელებული ჭიკაძით. ახლა ამაში ე.წ. პრემიერ-მინისტრიც ჩაერთო. ეს მთავრობა იმისთვის აირჩიეს, რომ საქმისთვის მიეხედა და ამის ნაცვლად, აი ამ აბსურდს ვისმენთ. ეს ყველაფერი მ ოქტომბრის შემდეგ დამთავრდება“, – განუცხადა ჟურნალისტებს ბოკერია.

* * *

8 ოქტომბერს თქვენ დამთავრდებით, ცრუხეტელა დემაგოგაო!

ანონსი

**ყოველ პარასკევს „საქართველოს რესპუბლიკაში“,
ყოველ სუთმაბათს, 17 საათზე და ყოველ ორშაბათს,
20 საათზე, ტელევიზია „ქართული TV“-ს პირდაპირი ეთერით**

მეხნიერთა საინიციატივო ჯგუფი რუბრიკით:

„ქართული, მხოლოდ ქართული – ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს... ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს... ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!“

ჩვენ თქვენთან ერთად და თქვენი მონაწილეობით, ვსაუბრობთ მომავლის საქართველოზე...

რეალობა მწარეა:
სასონარკვეთილი ხალხი, უცხო ძალთა მსახური პარტიები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორი. არაქართული საინფორმაციო სივრცე. იგნორირებული ქვეყნის პოტენციალი და ოქროს ფონდი.

ჩვენ ამ დასვენას თქვენთან შეხვედრების ანალიზით ვაკეთებთ!
გეთანხმებით, მდგომარეობა უმძიმესია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცუდად ვცხოვრობთ, არამედ და სწორედ იმიტომ, რომ არ ვიცით, ან არ გვინდა ვიცოდეთ, რატომ, ვისი პროგრამებითა და ძალისხმევით ვცხოვრობთ ცუდად. დიაგნოზის დასმის გვეშინია. დიაგნოზი გვაშინებს.

ჩვენ გვჭირდება ძალა, ნება, დავსვათ სწორი დიაგნოზი და სხნის გზაც აქ დაიწყება. ჩვენ ერთად უნდა გავაცნობიეროთ ქვეყნის პოტენციალი და ვეძებოთ ძლიერი ადამიანები... შევექმნათ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც კი არ ებრძვის ძლიერს (როგორც ეს დღეს არის), არამედ ეძებს მას და ჩვენი მხარდაჭერით კიდევ უფრო აძლიერებს.

ჩვენ ასე შევექმნით 21-ე საუკუნის დიდგორის ლაშქარს, რომელიც იქნება ერთ მუშტად შეკრული სიკეთე, სიძულვილის სიყვარულით დასამარცხებლად.

გვახსოვდეს, კარგად გვახსოვდეს, სწორად გავიზაროთ დიდი მოღვაწის, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, „განწყობის თეორიის“ ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის სიტყვები:

„... გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ლატაკნი ვართ, არამედ ლატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ...“

მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს შეუძლიათ დიდი მომავლის საქართველოს შექმნა.

გავაერთიანდეთ მომავლის საქართველოსათვის!

**მეხნიერთა საინიციატივო ჯგუფი
„ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“**

დაუნაყრებელი სამართალი



მინუს ერთი ხმა

**ღია წერილი საქართველოს
თავდასუვის ყოფილ
მინისტრს, ქალბატონ
თინათინ ხიდაშელს**

3

არჩევნებმა ინვესტორები ვერ დააფრთხო

6



ჯაბა სამუშია: კიდევ ერთი ნასიონალური ტყუილი!

2

ქებლები – ხალხის სიყვარული, დამსახურება თუ... იდეოლოგია?!

9

**გურამ
გაბრიჩიძე**



იბულის მინისტრს და ჩვენ



7

საქართველოში HENKEL-ის წარმოება, მუშაკი ნარევი მასალების მწარმოებელი ქარხანა გაიხსნა

საქართველოში მსოფლიოში ცნობილი გერმანული კომპანია Henkel-ის, კავკასიაში პირველი, წებოვანი, მშრალი ნარევი მასალების მწარმოებელი ქარხანა გაიხსნა.

კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველოში ბიზნესისთვის ძალიან მიმზიდველი პირობებია, — ასე შეაფასა რეგიონული მნიშვნელობის ქარხნის გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი კავშირში, რომელმაც ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

მთავრობის მეთაურმა, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან ცოტა ხნის წინათ გამართული შეხვედრა გაიხსენა, რომელზეც საქართველოში გერმანული ბიზნესისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნის მიმართულებით, განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვაზე ისაუბრეს.

„ეს იქნება კიდევ ერთი პროდუქტი — Made in Georgia, რომელიც გერმანიის და საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის ნათელი მაგალითი იქნება. ორი წლის

წინათ, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე შევხვედით Henkel-ის ტომენეჯმენტის წარმომადგენლებს და მაშინ იყო საუბარი ამ პროექტის დაწყებაზე საქართველოში. ჩვენ გვაქვს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ინფრასტრუქტურული მოდერნიზაციის ძალიან ამბიციური გეგმები. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სამშენებლო სექტორის განვითარება და ვფიქრობ, ამ ქარხნის გახსნა დროში ზუსტად ემთხვევა იმ ათვლის წერტილს, როდესაც ჩვენ ვინწყებთ განსაკუთრებული სისწრაფით წინსვლას ამ მიმართულებით“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვიციანი კავშირში Henkel-ის წარმომადგენლებს, ახალი ქარხნის გახსნასთან ერთად, კომპანიის 140 წლის და მისი წამყვანი ბრენდის, Ceresit-ის 110 წლის იუბილეს მიულოცა, ხოლო კომპანიის წარმომადგენლებსა და ქარხანაში დასაქმებულ ადამიანებს წარმატებები უსურვა.



პრემიერი პოლიტიკურ ძალებს კონტრაქტების შესახებ შეხვედრის შემდეგ

ეს არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომლის ინტერესებშიც შედის სიტუაციის რადიკალიზაცია, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი კვირის დასასრულს.

„ყველამ თავის თავზე მიიღო გუშინ და დღეს სურვილები, რომ ახლა ჩვენ ვაპირებთ ამას და იმას. ეს არის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომლის ინტერესებშიც შედის სიტუაციის რადიკალიზაცია. ეს განცხადება ეყრდნობა კონკრეტულ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, რომლის გამოქვეყნების ვალდებულება მინისტრს არ გააჩნია. ამიტომ, ჩვენ ვალდებული ვართ, რომ პრევენციული

ხასიათის განცხადება გავაკეთოთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სიტუაციის რაიმე კუთხით დაძაბვა“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვიციანი კვირის დასასრულს პოლიტიკურ ძალებს შეხვედრის შემდეგ, რომელიც კონტრაქტების განთავსებას გულისხმობს.

„რაც შეეხება შსს-ს დანაყოფების უფრო მაღალი მზადყოფნის სტატუსში გადაყვანას. მე მგონია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უზრუნველყოფთ მშვიდობიანი ყველაზე დამაბულობის განთავსებას არჩევნების, ეს არის აუცილებელი. ჩვენ საერთოდ უარი ვთქვით კონტრაქტების ჩატარებაზე. ჩვენ მზად ვართ, რაიმე კუთხის შემორჩენაშიც კი შევთავაზოთ ყველა პოლიტიკურ

ძალას, რომ არ ჩავატაროთ კონტრაქტები იქ, სადაც ერთი პოლიტიკური ძალა ატარებს შეხვედრებს თავის ამომრჩევლებთან, არ მივიდეს ოპოზიციური თუ მასთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ იქ ემოციები და შესლა-შემოსლა. სწორედ ამიტომ, მე გავეცი ეს ბრძანება, რომ იმდენი იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იქ ახლომასლო. რა თქმა უნდა, არც ზენოლაზე საუბარი და ეს წარსულში დარჩა, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებდა არჩევნებს. ასეთი რამ საქართველოში აღარ განმეორდება. არ არის ახლა საჭირო რაღაც ალუზიების გაკეთება და პარალელების გაღება. აქ საუბარია, ერთადერთ იმაზე,

რომ თავიდან ავიცილოთ დაძაბულობა. ისინი უარყოფენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი ქმნიან ორგანიზაციებს, როგორც არის „საქართველოს ერთგულების სახელით“, რომელსაც პირდაპირ აქვს თავის ამოცანად ის, რომ საქართველოში სიტუაციის რადიკალიზაცია მოახდინოს, მანქანებით დაბლოკონ შესასვლელი და გამოსასვლელი და ასე შემდეგ. ეს ინფორმაცია არის და არის კანონიერი გზებით მოპოვებული ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ ვალდებული, რომ ყველა ინფორმაცია გამოვამჟღავნოთ, მაგრამ ეს ინფორმაცია არსებობს და ჩვენ არავის არ მივცემთ უფლებას, რომ სიტუაცია აურიოს საქართველოში“, — განაცხადა გიორგი კვიციანი კვირის დასასრულს.

ჯაბა სამუშია: კიდევ ერთი ნაციონალური ტყუილი!

თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ჯაბა სამუშიას განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თბილისში საგზაო ინ-

ფრასტრუქტურისა და საგზაო კვანძების კვლევის ფარგლებში, მხოლოდ სააკაძის მოედნის კვლევა ჩატარდა და ამისთვის ასობით ათასი ლარი დაიხარჯა.



ტყუილია, ეს კვლევები ჩატარდა თბილისის მნიშვნელოვანი ექვსი უბნისათვის. ეს უბნებია: სააკაძის მოედანი, 26 მაისის მოედანი, ჟვანიას სახელობის მოედანი, გამოსასურდის გამზირი, კანდელაკის ქუჩა და შარტავას ქუჩა. კვლევა ჩატარდა იმის დასადაგებად, როგორია დღის სხვადასხვა მონაკვეთში სატრანსპორტო ნაკადები და ამისთვის თბილისის ბიუჯეტიდან დაიხარჯა არა ასობით ათასი ლარი, არამედ 80 000 ლარი.

ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობისათვის ეს ყველაფერი უცხოა, ვინაიდან ისინი თბილისის ბიუჯეტიდან ფულს იმეტიბდნენ იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობის

აგიტატორები დაეფინანსებინათ, რაზეც ხუთი მილიონი დაიხარჯა. ჩვენ უარი ვთქვით ამ მანკიერ პრაქტიკაზე, როდესაც ყოველგვარი კვლევების გარეშე სორციელდებოდა პროექტები. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ აღნიშნულ პროექტს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ის, რაც ნაციონალური მოძრაობას ჰქონდა დამკვიდრებული — როდესაც შეიძლებოდა გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია ისე ჩატარებულიყო, რომ არათუ კვლევა, არამედ თვითონ პროექტი ყოფილიყო არასწორი, ამ მანკიერ პრაქტიკას ერთხელ და სამუდამოდ უნდა გუთხრათ უარი“, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.



გიორგი კვიციანი: პრემიის საბჭოს დელეგაციასთან შეხვედრაზე უსაბულო პრეზენტაციებზე ვიმსჯელებ

ნიხილეს სავარაუდო პროგნოზების საკითხი. „გაგაჩინეთ იმის საფუძველი და მიზეზები, რასაც შეიძლება დესტაბილიზაცია მოჰყვეს. რა აქვთ ძალოვანებს, რისი საფუძველი აქვთ, მე ვერ გეტყვით, თუმცა ვილაპარაკებ იმ ინტერესებზე, განცხადებებზე, ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომელიც არ იმალებოდა, იყო ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში და რაზედაც პირდაპირ ლაპარაკობდა“.

კია მთავრობის დამხობაზე. ეს იყო „ფორბს“-თან მიცემული ინტერვიუ, რუსთაველი-2-თან მიცემული ინტერვიუ და მრავალჯერადი გამეორება სააკაშვილის მხრიდან“, — აღნიშნა ვოლსკიმ.

ლარსის გამშენებელი კომპანია სააკაშვილის ნაგებობა მოეწყო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 136-ე კილომეტრზე საევაკუაციო ნაგებობა მოეწყო.

კუაცო დერეფანი უზრუნველყოფს მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზით მოსარგებლეს ადამიანებისა და საბაჟო-გამშენებელი კომპანიის თანამშრომელთა უსაფრთხო გადაადგილებას სტიქიის ზონიდან ევაკუაციის ადგილამდე.



208,4 მეტრი სიგრძისა და 2,25 მეტრი სიგანის საევაკუაციო აივანი ლარსის გამშენებელი კომპანიის ტერიტორიიდან იწყება და დარიალის მამათა მონასტერთან სრულდება, სადაც სპეციალური მოედანი მოეწყო. სტიქიის შემთხვევაში, ხალხის ევაკუაცია ამ მოედნიდან ვერტმფრენით განხორციელდება.

დასრულებული სამუშაოები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძემ მოინახულა. სამუშაოები 2015 წლის ივნისში დაიწყო. პროექტის ღირებულებამ დაახლოებით 1 მილიონ 730 ათასი ლარი შეადგინა. სამშენებლო სამუშაოებს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ასრულებდა.

უპირველესია უპტობის გამჭვირვალობა და სიზუსტე

ზან კოჯა: საპარტილო პერსონალის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია

ამერიკულმა რადიოსადგურმა „Radio Voice of America“-მ რამდენიმე კითხვით მიმართა თბილისში, მაკეინის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე მალაღი რანგის ერთ-ერთ სტუმარს, კერძოდ, ევროპაში აშშ-ის არმიის სარდალს, გენერალ-ლეიტენანტ ბენ ჰოჯესს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან ვერსიას:



არის ამის საუკეთესო გზა და არსებული შესაძლებლობები თავდაცვისთვის მაქსიმალურად ეფექტურად როგორ უნდა გამოიყენოს?

— ფიქრობთ, თუ არა, რომ საკმარისი კეთდება საქართველოში რუსული დეზინფორმაციის გასაწივრებად, უფრო ზუსტად, რუსეთის მზარდი ნარატივის გასაქარწყლებლად დასავლური ალიანსების და კონკრეტულად ნატოს უპირატესობის, წინააღმდეგე ფიქრობთ, რომ საკმარისად ებრძვიან ამგვარად მომძლავრებულ დეზინფორმაციას საქართველოში? ასევე, რა როლი აქვს ნატოს ამ პროცესის გაჯანსაღების მიზნით?

— რამდენიმე საკითხს გამოვყოფდი: საუკეთესო მომავლისთვის, საქართველომ უნდა გააგრძელოს დასავლეთთან და დანარჩენ ევროპასთან კავშირების გაძლიერება და განაგრძოს ჯერ უმნიშვნელო ინსტიტუტების ზრდა. საინფორმაციო კამპანიის საუკეთესო სახე ის არის, როცა მოსახლეობა ხედავს მთავარ რობის პროფესიონალიზმს, შეიარაღებული ძალების უნარს უსაფრთხოების დასაცავად, და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, რომელიც დასავლეთის ეკონომიკურ ინსტიტუტებთან არის კავშირში. ეს, ჩემი აზრით, საუკეთესო საინფორმაციო კამპანიაა.

იმ სიტუაციაში, როცა ყველას აქვს ინფორმაციის მიწოდება/გაზიარების შესაძლებლობა და ეს ხშირად ფაქტების გადაუმოწმებლად ხდება, უნდა დავფიქრდეთ და ვიზრუნოთ ამ კონკურენციის დაძლევაზე. რა არის ჩვენი მთავარი ამოცანა: უპირველესია გამჭვირვალობა და ფაქტების სიზუსტე. შესაბამისად, თავისუფალი მედიის არსებობა, მედიისა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მძლავრ აგრესიულ ნარატივს, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

არჩევნებში ინვესტიციები პირ დააფრთხოს

მიუხედავად წინასწარჩვენი ვითარებისა, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდა. გამოირიცხული არ არის, წლის ბოლოს შარშანდელი მაჩვენებელი გაუმჯობესდეს. როგორც ჩანს, ინვესტიციები არჩვენებს არ უფროსიან.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის II კვარტალში 445 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20 პროცენტით მეტია 2015 წლის II კვარტალის წინასწარ და 4 პროცენტით ნაკლები იმავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 834 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელს 11 პროცენტით აღემატება.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია, საიდანაც 146 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, მეორე ადგილზეა ერთიანებული სამეფო, საიდანაც 64 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. 36 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა ჩინეთიდან. ასევე მთავარი ინვესტორი ქვეყნების სუთულში არიან თურქეთი და პანამა.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2016 წლის II კვარტალში 63 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 175 მლნ აშშ დოლარს მიადნა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39 პროცენტია. მეორე ადგილზეა საფინანსო სექტორი 60 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — ენერჯეტიკის სექტორი 46 მლნ აშშ დოლარით.

ახალგაზრდა ფინანსთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი ზურაბ კუკულაძე აცხადებს, რომ, თუ ვინმე ფულს შემოიტანს ჩვენს ქვეყანაში, ეს ფული ჩვენი ეკონომიკისთვის პოზიტიური იქნება.

„თამამად შემოძლია გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციები რეალურად ძალიან ბევრია. თუ შევადარებთ განვითარებულ სახელმწიფოებს, ერთ სულ მოსახლეზე მთლიან შიდა პროდუქტს ან სხვა მაჩვენებლებს, ეკონომიკის პროპორციებიდან გამომდინარე, ჩვენთან ინვესტიციები გაცილებით მეტია. უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაინყოს ხარისხიანი ინვესტიციების მოძიება, რაშიც იგულისხმება ტექნოლოგიები და ინოვაციებზე ორიენტირებული ინვესტიციები.“

ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა გადასახედია. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე ერთმნიშვნელოვნად ყველა ტიპის ინვესტიცია კარგია. ეკონომიკაში ასე ნამდვილად არ არის. დროა, საქართველოს მთავრობამაც დაიწყოს ინვესტიციების ტიპისა და შინაარსის გარჩევა.“

ეკონომისტი გიორგი ლაღანიძე კი ამბობს, რომ მზარდი კაპიტალდაბანდებას სიკეთე პირდაპირი მნიშვნელობით ჯერჯერობით უბრალო მოქალაქეებამდე ვერ აღწევს.



„ყველა საქართველოში ცხოვრობთ და რაც უფრო მეტი ინვესტიცია შემოვა, მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, ეს მხოლოდ და მხოლოდ გაგვიზარდება, რადგან გარკვეული ზომით ეს თითოეულ ჩვენგანზე აისახება. ეკონომიკური ზრდა ყველა კონკრეტულ ადამიანს არ ესება, მაგრამ როდესაც ვგრძნობთ, რომ სამუშაო ადგილებმა იმატა, ეს ყველასთვის კარგია. ჯერჯერობით ამის შეგრძნება ნამდვილად არ არსებობს.“

ზამა დანელია

პარსანაღლო თავდაცვა

რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში მიმდინარე წვრთნების ფარგლებში სარაკეტო კომპლექს „ისკანდერ-ემის“ გამოყენების ფონზე საქართველოში შემოღობდნენ: რამდენად შეძლებენ საფრანგეთის მიერ დაპირებული ჰაერსაინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ქართული ცის დაცვას რუსეთთან ახალი კონფლიქტის შემთხვევაში.

მალე საქართველოში საბრძოლო მორიგეობაზე ჰაერსაინააღმდეგო თავდაცვის ფრანგული სისტემები დადგება. საქართველოში ვიზიტის დროს პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ „ოქროსი სანძის“ ორდენით დაჯილდოებული საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ჟან-ივ ლე დრიანი დაგვიპირდა: უახლოეს მომავალში პარიზი თბილისს სამომავლო გეგმას შესთავაზებს, რომელიც საქართველოს თავისი სუვერენიტეტის დასაცავად აუცილებელი შეიარაღების მიღებას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, წლის ბოლოსთვის თბილისში ფრანგი სამხედრო სპეციალისტები ჩამოვლენ, რათა ქართულ მხარესთან ერთად საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვის უზრუნველყოფის გრძელვადიანი პროგრამა შეიმუშავონ. ამ თემაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ ირაკლი ალასანი-

კმირი სიაგონება ქართული ბიუჯეტისთვის, ანუ დაიცავს საქართველოს ფრანგული „ქოლგა“?

ას თავდაცვის მინისტრობის პერიოდში დაიწყო და თინა ხიდაშელის დროს გაგრძელდა. შედეგად გაფორმდა შეთანხმება პარსანაინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მოწოდების შესახებ. თუმცა ექსპერტები ამჟამინდელი ხელისუფლების ოპტიმიზმს არ იზიარებენ.

მათი თქმით, შეპირებულ ფრანგულ კომპლექსებს რაღაც კონკრეტული სტრატეგიული ობიექტის დაცვა შეუძლია, მაგალითად, სამხედრო ბაზისა, მაგრამ თუ უფრო დიდ მასშტაბებზე ვსაუბრობთ მაგალითად, დედაქალაქზე, აქ უკვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების რაოდენობა, შესაძლოა, არასაკმარისი აღმოჩნდეს.

ამასწინათ თბილისში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დასავლელი პარტნიორებისგან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერების დაპირება მიიღო. და ამ თანამშრომლობაში არცთუ უმნიშვნელო ადგილი ჰაერსაინააღმდეგო თავდაცვამ უნდა დაიკავოს — საქართველოს თავდაცვითი სტრატეგიის ტრადიციულად სუსტმა რგოლმა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსული თვითმფრინავები პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე ბომბავდნენ საქართველოს ტერიტორიას. ახლა თბილისში აცხადებენ: მსგავსი რამ აღარ განმეორდება. თუმცა როგორც ირაკული ალადაშვილი აღნიშნავს, დასავლელი პარტნიორები ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლებიან, რუსეთი კი ამასობაში პირიქით, რეალურად ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს:

„ახლა ამერიკელები და ნატოელები ალბათ, უკვე ფიქრობენ,

რომ კარგავენ შავ ზღვასაც, სამხრეთ კავკასიასაც, რადგან მათ ნაცვლად ჰაერსაინააღმდეგო სისტემების გაშლა რუსეთმა დაიწყო — როგორც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და ენ. სამხრეთ ოსეთში, ისე სომხეთშიც. გარდა ამისა, მათ შეიყვანეს „C-400“ სირიაში და ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ამჟამად როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე ახლო აღმოსავლეთის მიმართულებებს აკონტროლებს, ალბათ, უკეთესად, ვიდრე ამერიკელები.“

რაც შეეხება რუსულ „ისკანდერებს“, მიმდინარე წვრთნების დროს რომელთა გამოყენებამ თბილისი გაანერვიულა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მსგავსი იარაღის წინააღმდეგ რაკეტსაინააღმდეგო თავდაცვის სპეციალიზებული სისტემებმა უნდა იმუშაონ, რომლებიც საქართველოს არ გააჩნია და რომც მოიპოვოს, თბილისიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში რუსული ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების ყოფნა შესაძლო თავდაცვლაზე ოპერატიულ რეაგირებას წარმოუდგენლად ართულებს, ხოლო საიმედო ჰაერსაინააღმდეგო და რაკეტსაინააღმდეგო თავდაცვის შექმნა მეტისმეტად ძვირი სიამოვნებაა ქართული ბიუჯეტისთვის.

საუკეთესო გამოსავალი თბილისისთვის, სპეციალისტების აზრით, ქვეყნის ნატოს რაკეტსაინააღმდეგო სისტემაში ჩართვა იქნებოდა, თუმცა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, საქართველოს უსაფრთხოების დაცვაში დახმარების არაერთი დაპირების მიუხედავად, ქვეყნის „რაკეტსაინააღმდეგო ქოლგის“ ქვეშ მის მიღებას არ ჩქარობს.

EKHOKAVKAZA.COM

მოთხოვნა ინტერესის გამოხატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის № P130413

დავალების სახელწოდება: შესყიდვების სპეციალისტი
საიდენტიფიკაციო № EWHIP-4/CS/ICS-09

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება სხვაგვარი პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანდაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოხატავად შემდეგი მომსახურების გასაწევად: შესყიდვების სპეციალისტი.

დავალების საგარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

დანიშნულებულია კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებულ დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამლების მიერ კონსულტანტების

შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა“.

დანიშნულებულია კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამლების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იხდულება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფორმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:
• მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
• მინიმუმ 4 წლიანი გამოცდილება მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ პროექტებში შესყიდვების განხორციელებაში;
• მინიმუმ საბაზისო ცოდნა შესრულებაზე და შედეგზე დაფუძნებული კონტრაქტების მეთოდოლოგიაში/მშენებლობა-პროექტირების კონტრაქტებში;
• გავლელი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ (სასურველია მსოფლიო ბანკი) ჩატარებული შესყიდვების პროცედურების/პოლიტიკის ტრენინგები;
• ინგლისური და ქართული ენების უმაღლეს დონეზე ცოდნა;
• ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის და ანგარიშების მომზადების ძლიერი უნარი;
• სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების პროფესიონალურ დონეზე ცოდნა, მათ შორის MS Office და Internet.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტლევებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოსაუბრე ინფორმაცია გამოთქმულ შეფასების მიზნებისთვის.

დანიშნულებულია კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2016 წლის 29 სექტემბრის 17:00 საათისა.

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ. ყაზბეგის #12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia

Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)

Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413

Assignment Title: Procurement Specialist
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/ICS-09

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Fourth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: Procurement Specialist.

The estimated duration of assignment is 12 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Consultant will be selected under Chapter V “Selection of Individual Consultants” selection method for a time-based contract, as described in the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”).

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Required Qualification of the Consultant:

- Minimum 5 years of procurement experience in the IFI financed projects;
- Minimum 4 years of procurement experience in the World Bank-financed projects;
- At least basic knowledge of Output and Performance Based Road Contracting (OPRC) methodology/Design-Build contracts.
- Demonstrated procurement training in procurement policies/procedures from one of IFIs (WB preferably)
- Fluency in the English and Georgian Languages;
- Strong verbal and written communication and reporting skills in English and Georgian;
- Proficiency in standard computer applications, including MS Office and Internet.

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, September 29, 2016, 17:00 hours.

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

მედიკოსთა საკონკურსო განცხადება

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიის წევრების ასარჩევად შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

- თეორიული მედიცინის განყოფილება:**
1. მორფოლოგია
 2. მიკრობიოლოგია
 3. პროფილაქტიკური მედიცინა

- კლინიკური მედიცინის განყოფილება:**
1. თერაპია
 2. ქირურგია
 3. კრტიკული მედიცინა
 4. მენობა-გინეკოლოგია
 5. ონკოლოგია
 6. რადიოლოგია
 7. პედიატრია

8. კარდიოლოგია

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომელთაც შექმნეს საერთაშორისო აღიარების მქონე ახალი მეცნიერული მიმართულება, აღზარდეს მეცნიერული კადრები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პრაქტიკული მედიცინის განვითარების საქმეში.

- თითოეულ სპეციალობაში გამოყოფილია ერთი ადგილი.
- აკადემიის წევრად არჩევის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. განცხადება აკადემიის პრეზიდენტის სახელზე
 2. ავტობიოგრაფია.
 3. პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი
 4. სამეცნიერო ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი

რეზიუმე დოკუმენტის ასლი
5. შრომათა სია, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
6. ცნობა შრომითი საქმიანობის შესახებ
7. წარდგინება საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის 2 წევრის მიერ, რომელთაგან ერთი იმ განყოფილების წევრი უნდა იყოს, რომელშიც საკონკურსო სპეციალობა არის განთავსებული. წარდგინება უნდა მოიცავდეს კონკურსში მონაწილის სამეცნიერო, სასწავლო და პრაქტიკული სამედიცინო საქმიანობის შეფასებას.

საბუთების მიღება წარმოდგინება აკადემიის ოფისში 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე.
მისამართი:
თბილისი, ჩაჩავას ქუჩა 1,
ტელეფონი: 577-42-85-46
ელექტრონული ფოსტა: Kheladze@gmail.com
ვებ-საიტი: www.AMSG.ge

აკი, საუიუი არ არისო?!

თავის ტკივილის, ყალბი წონისა და ღვიძლის უპრობლემო ჩივილებით თბილისში 11 პირია ჰოსპიტალიზებული!



იმ უბნებიდან, სადაც გუშინ დილით ბუნებრივი აირის სუნის საგრძნობი მომატება შეინიშნებოდა, 11 პირი ჰოსპიტალიზებულია. როგორც მედიანუსის სასწრაფო დახმარების სამსახურში განუცხადეს, პაციენტების ჩივილები – ყელის წვა, პირღებინების შეგრძნება და თავის ტკივილი იყო.

112-ში გამოძახებების ზუსტ რაოდენობას არ აკონკრეტებენ, მაგრამ აცხადებენ, რომ ყველა ზარზე ხდება

რეაგირება და მოქალაქეებისთვის კონსულტაციის განცემა.

„თბილისის რამდენიმე უბანში (ვაკე, წყნეთი) დაფიქსირდა ბუნებრივი აირის მკვეთრი სუნი, რაც გამოწვეული იყო გაზის ჭარბი ოდორიზების გამო. ოდორანტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ის გამოიყენება ბუნებრივი აირისათვის დამახასიათებელი სუნის მისაცემად, რათა მარტივად მოხდეს ბუნებრივი გაზის გაუონვის აღმოჩენა. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი მოსახლეობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“, – ნათქვამია „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ განცხადებაში.

თბილისის მსახიობ ქალთა გუნდი „ბენეფისი“ ზაარბრიუკენში მართავს კონსერტებს

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით, 2016 წლის 10-დან 17 სექტემბრამდე თბილისის მსახიობ ქალთა გუნდი „ბენეფისი“ გასტროლზე იმყოფება თბილისთან დამეგობრებულ გერმანიის ქალაქ ზაარბრიუკენში.

2 სექტემბრიდან გუნდის ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ნანა კალანდაძე სვდება სხვადასხვა გერმანულ გუნდს, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული სიმღერით და ზოგადად ქართული კულტურით. ზაარბრიუკენში მათი მიწვევის ინიციატორი, ცნობილი გერმანელი მომღერალი და ლოტბარი ქალი ამაი შაიბი ქართულ-გერმანულ საკონცერტო პროგრამაზე მუშაობს ნანა კალანდაძესთან ერთად. ბოლო კონცერტი ჩატარდა 16 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ თბილისის მსახიობ ქალთა გუნდი კონცერტის გასამართად მიწვეულია ზაარბრიუკენის თეატრის სეზონის გახსნაზე, რაც ორგანოდ მნიშვნელოვანია ქართველი მსახიობებისათვის.

გერმანელი მუსიკის მოყვარულები კონცერტებზე შეასრულებენ ქართულ სიმღერებს, რომელიც ნანა კალანდაძემ შეასწავლა ვორკშოფებზე.



წარდგენა

ამ დღეებში სენაკის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ ადგილობრივი საზოგადოების, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები, რათა განეხილათ წიგნი „სენაკის მატინანე“, რომელიც წარადგინეს მისმა ავტორებმა, მწერალმა ბორის დავითიამ და ბიზნესის მეცნიერებთა აკადემიის წევრმა ბადრი ბარკალიამ.

ითქვამს, რომ 700-გვერდიანი წიგნი სენაკის წარსულზე პირველად ისტამბება. მასში გაცოცხლებულია ქალაქის დაარსების, განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ეპიზოდები, გახსენებულია ის ადამიანები, რომელთა მუხლჩაუხრელ გარჯასა და ოდაბადისადმი სიყვარულზე დგას ქალაქი. არ არსებობს მომავალი უწარსულოდ. არ არსებობს წარმატება წინამორბედთა ნიჭისა და გამოცდილების გაზიარების გარეშე.

მოკლედ აღნიშნეს, როდის ჩაეყარა საფუძველი სენაკის დასახლებას, რომ იგი ორსაუკუნოვანი ქალაქია, აქვს საინტერესო წარსული და ამის დასტურად მოიყვანეს არაერთი მაგალითი. ისაუბრეს მოვლენებზე, რაც განუცდია და გადასდომია თავს, იმ ადამიანებზე, რომლებიც დაიბადნენ აქ და თავიანთი ნიჭითა და თავდადებათი ასახელეს საქართველო და მშობლიური ქალაქი.

ავტორებმა მოკლედ მასალები მიანოდეს მკითხველს კოლ-

მოგაპალი, როგორც წარსულს ეფუძნება

ხეთის, ეგრისისა და სამეგრელოს წარსულზე, ჩათვალეს, რომ მათი ვალი იყო, გაეცოცხლებინათ შორეული წინაპრები და როგორც შვილთა ვალია, მაღლიერებით დაეფასებინათ ისინი, ვინც თაობათა მესხიერებაში აღიბეჭდნენ და დაუსაბამოდ დარჩნენ უკვდავებაში.

წიგნის ავტორებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ სენაკელებთან ათწლეულების განმავლობაში მეგობრულად ცხოვრობენ ებრაელები და აისორები (იგივე ასირიელები), მოიყვანეს მაგალითები მოსახლეობასთან მათი ურთიერთობისა. ცალკე თავი დაუთმეს აფხაზეთიდან ადგილობრივად ადამიანებს. ასევე აღნიშნეს, რომ სენაკი წარმოუდგენელია მდინარე ტეხურის გარეშე. ამიტომ მატინანეში უცვლელად დაბეჭდეს ლუარა ჯიქიას საინტერესო წარმოსახვა „ტეხირ ოხვარჩალაია“.

რადგან წლები გადის, იმისთვის რომ მომავალი თაობებისთვის მიეწოდებინათ ცნობები დღევანდელიობაზე, წიგნი მოათავსეს ცნობები საჯარო და

კერძო სკოლებისა თუ სკოლამდელი დაწესებულებების, ასევე იმ სამკურნალო დაწესებულებების, ბანკების, რესტორნებისა და მოქმედი საწარმოების შესახებ, ფოტოსურათებით და მოკლე ანოტაციით, რომლებიც დღეს მოქმედებენ და ამშვენებენ ქალაქს.

მაღლობა მოახსენეს ყველას, ვინც ხელი შეუწყო „მატიანის“ შექმნას – აბაშის საკრებულოს

წელი ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უნიკალური ფოტოსურათებისა და საინტერესო მოგონებების მოწოდებისთვის.

წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და იგი დადებითად შეაფასეს სენაკის მკვიდრმა, აბაშის საკრებულოს თავმჯდომარემა პაატა ქურდოვანიძემ, სკოლა „პელაგონის“ პედაგოგმა ნინო ფრანგიშვილმა, ისტორიკოსმა იგორ მოჯგუამ გაზეთ „მრწამსის“ რედაქტორმა, პოეტმა ლანდა მასხულიამ, რამდენიმე წიგნის ავტორმა მერი გვასალიამ, ლირისების ორდენის კავალერმა რაჟდენ ფოჩხუამ.

შეკრების მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ დაარსდეს სენაკის დღე „სენაკობა“. და რაკი „ეგრისობა“ ტარდება ოქტომბრის თვეში „სენაკობა“ მოენწყოს მაისში. იგი უნდა იყოს თეატრალიზებული. სთხოვეს მუნიციპალიტეტის რაიონულ გამგეობასა და საკრებულოს, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას.

წიგნის პრეზენტაციის მსვლელობისას ისმოდა სასიამოვნო ქართული და მეგრული სიმღერები. შეკრებაში მონაწილეობ-

დნენ ბენდი „ცესკური“. ანსამბლი „სენაკი“ და სალომე ბერიშვილი. გულმხურვალე თეატრი დაიშასხურა ახალგაზრდა პიანისტმა, სარაჯიშვილის კონსერვატორიის სტუდენტმა, საქართველოსა და არაერთი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა გიორგი საჯაიამ და ნათია შურულაიასა და რუსუდან მილუტინის დუეტმა.

გაჟღერდა სასიამოვნო ფაქტი, რომ წიგნის ერთ-ერთ ავტორს ბადრი ბარკალიას იმ დღეს შეუსრულდა დაბადებიდან სამოცდაათი წელი. მშობლიურმა სენაკმა გულმხურვალედ მოულოცა იუბილე და დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები უსურვა. ხოლო ბიზნესის მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტმა იგი აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად და გადასცა შესაბამისი ადრესი და დიპლომი.

წიგნის რედაქტორები არიან: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი რუსულან რუსია და ფილოლოგის მეცნიერებთა დოქტორი როზა გაბეჩავა. გამოცემის კონსულტანტია, ტექნიკის მეცნიერებთა დოქტორი შალვა ნაჭყებია. კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის დათო ლომიას, წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა გამომცემლობა „ივერიონში“.

წიგნის დადრწმუნდებით, რომ მომავალი უწარსულოდ შეუძლებელია, ისევე როგორც პირიქით, წარსული – უმომავლოდ.

ენო ფრანგიშვილი



